თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №1

თბილისი, 19 აგვისტო, 2025

სხდომა დაიწყო: 12:10 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- პაატა სალია – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ლაშა მაღრაძე – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე;
- ლანა მორგოშია – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- ხათუნა თოთლაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ლევან ღირსიაშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- ნინო ენუქიძე – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე;
- ნინო თანდილაშვილი – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- ბექა დავითულიანი – საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე;

- ილია ბეგიაშვილი – საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
- ავთანდილ კოჭლამაზიშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- ირაკლი ბერაია – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ლევან ჩარგაზია – სპორტის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი, წარმოდგენილი სპორტის მინისტრის მოადგილის ნაცვლად.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ანა აფრიდონიძე – საქართველოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) იურისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

1. ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;
2. გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;

3. რუსუდან კოხოძე – სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- ირაკლი შეთეკაური – ა(ა)იპ „სამოქალაქო ალიანსი განვითარებისთვის;
- დავით ლილუაშვილი – ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- დავით მათიკაშვილი – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;
- სერგო ხურციძე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატორები საქართველოსთვის“;
- შავლეგ ჭყოიძე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მამული, ენა, სარწმუნოება“;
- ნუნუ შალამბერიძე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სახალხო ხელისუფლება“;
- გიორგი ლილუაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“;
- გიორგი კუჭავა – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართველ ნაციონალისტთა ერთობა“;
- კახა კუკავა – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა პაატა სალიამ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;

2. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ პრეზენტაცია ამომრჩეველთა ერთიან სიებთან დაკავშირებით;
3. ორგანიზაციული საკითხების განხილვა;
4. კითხვა-პასუხი.

ბატონმა პაატა სალიამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარეობს სხდომის აუდიოჩაწერა სხდომის ოქმის სათანადო დონეზე მომზადების მიზნით. ამის შემდეგ მან განმარტა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად და აღნიშნა, რომ კომისიის მიზანსა და ფუნქციას წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მათზე რეაგირება. კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა წინა წლების სხვადასხვა არჩევნებთან დაკავშირებით კომისიის ეფექტურ და ნაყოფიერ საქმიანობას და მზადყოფნა გამოთქვა, იმავე რეჟიმში და იმავე სტანდარტებით წარიმართოს მუშაობა მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემთხვევაშიც, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არჩევნების მაქსიმალურად მშვიდ, თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარება. დამატებით, ბატონმა პაატა სალიამ განაცხადა, რომ კომისია მუშაობის პროცესში გამოიყენებს როგორც მის საქმიანობაში ჩართული სუბიექტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ისე იმ ცნობებს, რომლებიც საჯაროდ გავრცელდება მედიასაშუალებებში, რათა არცერთი შესაბამისი შემთხვევა არ დარჩეს რეაგირების გარეშე. მან სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა სხდომების ჩატარების ინტენსივობისა და კომისიის საქმიანობის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციაც და განაცხადა, რომ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლამდე კომისია შეიკრიბება ორ კვირაში ერთხელ, ამ ვადის გასვლის შემდეგ კი – ყოველკვირეულ რეჟიმში; ხოლო კომისია საქმიანობას გააგრძელებს ცესკო-ს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღემდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ამომრჩეველთა ერთიანი სიების შესახებ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ პრეზენტაციას, ბატონმა პაატამ აღნიშნა, რომ ამ პრეზენტაციის მიზანია საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ამომრჩეველთა ერთიან სიებთან დაკავშირებით.

პრეზენტაციის ფარგლებში, ქალბატონმა რუსუდან კოხოძემ (სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე) ხაზი გაუსვა სააგენტოს როლის მნიშვნელობას საარჩევნო სიის ფორმირების პროცესში და განაცხადა, რომ სწორედ სააგენტოს მონაცემების საფუძველზე და მასზე დაყრდნობით დგება ერთიანი საარჩევნო სია. მისი თქმით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, სააგენტო წელიწადში ოთხჯერ გადასცემს შესაბამის მონაცემებს ცესკო-ს საარჩევნო სიის ფორმირებისთვის, ხოლო საარჩევნო პერიოდში ინფორმაცია მიეწოდება მოთხოვნის შესაბამისად; ზემოაღნიშნული ინფორმაცია მოიცავს სრულწლოვანი მოქალაქეების შესახებ სამოქალაქო რეესტრში ასახულ მონაცემებს; შესაბამისად, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის სამოქალაქო რეესტრის წარმოება და მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელება, რათა საარჩევნო სია იყოს მაქსიმალურად ზუსტი და სანდო. ქალბატონმა რუსუდანმა აღნიშნა, რომ სამოქალაქო რეესტრის მაღალი ხარისხით წარმოებისთვის ხორციელდება მონაცემთა ხარისხის მუდმივი კონტროლი; ამ მიზნით სააგენტოში ტარდება არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება; განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მონაცემთა უსაფრთხოების და სიზუსტის უზრუნველსაყოფად დანერგილია მონაცემთა ხარისხის მართვის სხვადასხვა სისტემა; ყოველდღიურად მზადდება ანალიტიკური ანგარიშები (112 ტიპის), რომელთა საფუძველზეც ხდება შესაძლო შეუსაბამობებისა და ხარვეზების აღმოჩენა და მათი გასწორება; გარდა ამისა, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა დუბლირებები იქნეს თავიდან აცილებული და მონაცემთა ბაზები იყოს მაქსიმალურად ზუსტი; ამისთვის სააგენტოს დანერგილი აქვს როგორც ავტომატური შედარების სისტემა სხვადასხვა მონაცემთა ბაზებთან, ისე ფოტოსაძიებო სისტემა; ზემოაღნიშნული მონაცემთა ბაზები შეიძლება იყოს სამოქალაქო აქტების ბაზები, სოციალური მიმართულებით არსებული ბაზები, ძებნილთა ბაზები და სხვა სისტემები, რომლებთანაც დამყარებულია მუდმივი წვდომა და ხდება ინფორმაციის შედარება.

ასევე, ქალბატონმა რუსუდანმა განაცხადა, რომ დასრულდა მნიშვნელოვანი პროცესი. კერძოდ, უკვე გაციფრულებულია და ხელმისაწვდომია 10 მილიონზე მეტი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ პირის შესახებ მონაცემების გადამოწმება ან დაზუსტება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ არქივებში მოძიებით, არამედ ინფორმაცია ციფრული სახით ხელმისაწვდომია მონაცემთა ბაზებში, რაც პროცესს მნიშვნელოვნად ამარტივებს. რაც შეეხება უშუალოდ საარჩევნო სიების დაზუსტებისთვის მიმართულ ღონისძიებებს, სსიპ „სახელმწიფო

სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უკვე 12 წელზე მეტია, სააგენტო ამ მიმართულებით სხვადასხვა აქტივობას ახორციელებს; 2013 წლიდან მოქმედებს სპეციალური პროექტი (საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტი), რომლის მთავარი მიზანია, რომ ერთი ამომრჩეველი ერთ ხმას წარმოადგენდეს. ამ მიზნით ყოველი წლის დასაწყისში ხდება მონაცემთა ბაზების ანალიზი, რათა გამოვლინდნენ ის პირები, რომელთაც შესაძლოა, შეეზღუდოთ საარჩევნო უფლება; ეს პირები, ძირითადად, არიან ისინი, ვისაც ან უუქმდება, ან უკვე გაუქმებული აქვს დოკუმენტი, ან საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციიდან არის მოხსნილი. ამგვარი პირები, რა თქმა უნდა, აქტიური დოკუმენტით ვერ მოხვდებიან იმ მონაცემებში, რომლებიც სააგენტოს მიერ გადაეგზავნება ცესკო-ს; აღსანიშნავია, რომ ამგვარი პირების იდენტიფიცირების შემდეგ სააგენტოს მხრიდან პროაქტიულად ხორციელდება კომუნიკაცია როგორც მოკლეტექსტური შეტყობინებების, ისე სატელეფონო ზარების გამოყენებით და, საერთო ჯამში, 2013 წლის შემდეგ ნახევარ მილიონამდე (483 000-ზე მეტი) სატელეფონო ზარი განხორციელდა, დაახლოებით, ამდენივე მოკლეტექსტური შეტყობინება (377 800-ზე მეტი) გაიგზავნა, რათა შესაბამისი პირები გაფრთხილებულ იყვნენ საარჩევნო უფლების შესაძლო შეზღუდვის შესახებ დოკუმენტების განუახლებლობის ან საცხოვრებელ მისამართზე რეგისტრაციის უქონლობის შემთხვევაში.

მომხსენებლის თქმით, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საარჩევნო სიებიდან და სააგენტოს ბაზებიდან ამოღებულ იქნეს გარდაცვლილ მოქალაქეთა მონაცემები, მოხდეს მათი იდენტიფიცირება. ამისათვის ხშირად სააგენტოს მხრიდან ტარდება კარდაკარ/საველე სამუშაოები; სავარაუდოდ გარდაცვლილი პირების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ძირითადად, ხდება სხვადასხვა მონაცემთა ბაზებიდან; მაგალითად, თუ სოციალურ ან სხვა რომელიმე ბაზაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პირს სამი წლის განმავლობაში აქტივობა არ უფიქსირდება, ამ შემთხვევაში უკვე შეიძლება არსებობდეს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ პირი შესაძლოა, იყოს გარდაცვლილი; ამის შემდეგ სააგენტო უკავშირდება შესაბამის მუნიციპალიტეტს, ადგილზე ხორციელდება საველე სამუშაო და თუ დადასტურდება, რომ პირი არის გარდაცვლილი, ამ შემთხვევაში შედგება გარდაცვალების ოქმი, რა თქმა უნდა, შესაბამისი აქტიც დარეგისტრირდება და ამოირიცხება საარჩევნო სიიდან; სწორედ ამგვარი სამუშაოების შედეგად 20 000-ზე მეტი (20 854) გარდაცვლილი მოქალაქე იქნა ამოღებული საარჩევნო სიიდან 2013 წლის შემდეგ. თუმცა, აქვე აღსანიშნავია მცირე გამოწვევაც, რაც უკავშირდება იმას, რომ

ინფორმაცია მოქალაქეების გარდაცვალების შესახებ, რომლებიც გაემგზავრნენ საზღვარგარეთ და უკან არ დაბრუნებულან, სააგენტოში მოდის დაგვიანებით ან შეიძლება საერთოდ არ მოვიდეს; აქედან გამომდინარე, ეს მცირე ხარვეზი და გამოწვევა დღის წესრიგში რჩება და სააგენტო მუშაობს, რათა მაქსიმალურად მოიპოვოს ინფორმაცია ამგვარი პირების შესახებ.

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარემ ისაუბრა კიდევ ერთ მნიშვნელოვან – 2014 წელს დაწერგილ მიმართულებაზე, რომელიც გულისხმობს გაორებული მონაცემების იდენტიფიცირებას და სიიდან ამორიცხვას. მისი თქმით, ზემოაღნიშნული ხორციელდება ფოტოსაძიებო სისტემის (cognitec) საშუალებით, რომელიც შეძენილ იქნა 2019 წელს; ერთჯერადად დადარდა მონაცემები, რის საფუძველზეც 10 000-მდე (9 892) დუბლირებული ჩანაწერი ამოირიცხა ბაზებიდან და, შესაბამისად, საარჩევნო სიიდანაც; მას შემდეგ ეს უკვე სააგენტოს ყოველდღიური საქმიანობის ნაწილი გახდა და ნებისმიერი წარმოება ხორციელდება ზემოაღნიშნული სისტემის გამოყენებით.

რაც შეეხება ლამინირებულ პირადობის მოწმობებს, ქალბატონმა რუსუდანმა განაცხადა, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, როდესაც საუბარი შეეხება საარჩევნო სიების სიზუსტესა და სანდო მონაცემებს; გასულ წელს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა იმ კუთხით, რომ გაუქმდა 2011 წლის 28 ივლისამდე გაცემული უვადო, ე.წ. არაელექტრონული, ლამინირებული პირადობის მოწმობები; სახელმწიფომ უზრუნველყო, რომ ყველა იმ პირს, რომელთაც ამგვარი დოკუმენტი ჰქონდათ, უსასყიდლოდ მიეღო ელექტრონული ID ბარათი. აქციის ფარგლებში, ამ შეთავაზებით ისარგებლა 200 000-ზე (201 419) მეტმა პირმა, მათ შორის, 15 000-ზე (15 040) მეტ პირს უსასყიდლოდ გაეწია ადგილზე (საკმაოდ მიუვალ სოფლის დასახლებებში) მომსახურება.

ამას გარდა, ქალბატონმა რუსუდანმა ხაზი გაუსვა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“ ამჟამად მიმდინარე აქციასაც. მან აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით, 2025 წლის 11 აგვისტოდან მონაცემთა დაზუსტების და საარჩევნო სიების სრულყოფის მიზნით გამოცხადდა შეღავათიან ფასებში პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის აქცია; ამ აქციით სარგებლობას შეძლებენ ის პირები, რომელთაც ვადის გასვლის გამო გაუუქმდათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან გაუუქმდებათ 5 ოქტომბრამდე, რათა მაქსიმალურად ყველამ შეძლოს დოკუმენტების აღდგენა ან ახალი დოკუმენტების მიღება და მოხვდნენ საარჩევნო სიაში; სააგენტოს გათვლებით, ზემოაღნიშნული აქციით ისარგებლებს 156 000-ზე მეტი (156 740) პირი, რადგან მათ

დოკუმენტებს ვადა ეწურებათ. აღსანიშნავია, რომ ერთი კვირის განმავლობაში უკვე 3 000-ზე მეტმა (3 136) პირმა ისარგებლა და ეს მონაცემი ყოველდღიურად იზრდება; საერთო ჯამში, სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დროს გამოცხადებული აქციებისა და შეღავათების ფარგლებში თითქმის 2 000 000-მა (1 973 767) საქართველოს მოქალაქემ სრულიად უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასად მიიღო ახალი პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობა.

ამის შემდეგ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარემ ისაუბრა პოტენციურ ამომრჩეველთა მონაცემებზე, რაც 13 აგვისტოს უკვე გადაეგზავნა ცესკო-ს, და განაცხადა, რომ ბაზებში არის 3 530 371 პოტენციური ამომრჩეველი და მათ აბსოლუტურ უმრავლესობას (99.99% – 3 529 886) აქვს ბიომეტრიული დოკუმენტი, ხოლო ლამინირებული პირადობის მოწმობით წარმოდგენილია მხოლოდ 485 პირი (0.01%).

ქალბატონი რუსუდანის თქმით, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ აქტიურად მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ როგორც აქამდე, ახლაც ინტენსიურად ხორციელდება იმ მოქალაქეებთან კომუნიკაცია, რომლებიც 13 აგვისტოს ცესკო-ში გაგზავნილ სიაში ვერ მოხვდნენ, რადგან აქვთ გაუქმებული დოკუმენტები ან არიან რეგისტრაციიდან მოხსნილი. 18 აგვისტოს მონაცემებით, რეგისტრაციიდან მოხსნილია 46 415 პირი, ხოლო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაუქმებული აქვს 150 005 პირს. ქალბატონი რუსუდანი იმედს გამოთქვამს, რომ ინტენსიური კომუნიკაციით შესაძლებელია ზემოაღნიშნულ პირთა შესაბამისი ხარვეზების გამოსწორების უზრუნველყოფა, რათა ცესკო-თვის შემდგომი მონაცემების გაზიარების დროისთვის უკვე მოხვდნენ შესაბამის სიაში. მისი თქმით, ასევე აქტიურად, ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება საარჩევნო სიიდან გარდაცვლილი მოქალაქეების ამოღების სამუშაოები და მხოლოდ 2025 წელს 1 350 გარდაცვლილი მოქალაქე იქნა ამოღებული საარჩევნო სიიდან სააგენტოს პროაქტიული მუშაობის შედეგად.

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარის განცხადებით, წლების განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარე ზემოხსენებული ღონისძიებები არ დარჩენილა გამოხმაურებისა და შეფასების გარეშე; გასულ წელს, როდესაც მნიშვნელოვანი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, სადამკვირვებლო მისიებმა საკმაოდ პოზიტიურად შეაფასეს სააგენტოს მიერ გაწეული ძალისხმევა და აღინიშნა მონაცემთა სიზუსტისთვის გატარებული კონკრეტული ღონისძიებები. ქალბატონმა რუსუდანმა იმედი გამოთქვა, რომ წელსაც დადებით შეფასებას

დაიმსახურებს სააგენტოს ძალისხმევა. მისი თქმით, ინფორმაცია, რომელსაც აგროვებს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ და რომელიც შემდგომ გადაეცემა ცესკო-ს, არის კრიტიკული მნიშვნელობის. ამიტომ სააგენტოსთვის უმნიშვნელოვანესია, არსებობდეს უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტი, მას გავლილი ჰქონდეს შესაბამისი აკრედიტაციები – აუდიტი თუ სერტიფიცირება. ქალბატონმა რუსუდანმა პრეზენტაციის მეშვეობით წარმოადგინა ევროპული სტანდარტების შესაბამისად გავლილი პროცესები და სერტიფიცირება (მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით) და აღნიშნა, რომ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ არის ერთადერთი უწყება რეგიონში, რომელიც სრულად აკმაყოფილებს და სერტიფიცირებულია საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების/რეგულაციების შესაბამისად. მისივე განცხადებით, სააგენტო მუდმივად მუშაობს ზემოაღნიშნული სტანდარტების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ დამსწრეებს მიმართა – ჰქონდათ თუ არა კითხვები.

ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველო“), კომისიას მიმართა უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემის საფასურის – 20 ლარის თაობაზე და აღნიშნა, რომ ეს პარტიისთვის, ჯამურად, პარტიის ყველა წევრისთვის, დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მეორე შეკითხვა შეეხებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პარტიათა განცხადებების დაკმაყოფილებისა და პარტიების ყრილობების გამართვის საკითხს. კერძოდ, აღნიშნა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 17 პარტიის განაცხადი მიიღო და აქედან 3 პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში ყრილობები ჩატარებული, მაგრამ ასეთივე მდგომარეობაში არის პოლიტიკური პარტია „გირჩიც“, რომელსაც 2018 წლის მერე ყრილობა არ ჩაუტარებია. ასევე, ეს 2025 წლის არჩევნებს არ შეეხებოდა, თუმცა, 2016-2018 წლიდან პოლიტიკურ პარტია „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ჰყავდა თავმჯდომარე და მას უნდა შეჩერებოდა უფლებამოსილება. ბატონმა გიორგი ლილუაშვილმა აზრი დააფიქსირა მესამე პირთა შესახებ განჩინებების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შესახებ, რომ სურს, გადაწყვეტილებები ჩაბარდეს მატერიალურად და ამის ვალდებულება სასამართლოებს დააკისროს იუსტიციის სამინისტრომ. მან ყურადღება გაამახვილა მისი პარტიის ინფორმირებულობაზეც, რადგან ამ შემთხვევაში აუცილებლად

დაესწრება კომისიის სხდომებს და ითხოვა კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტის მიწოდება.

ბატონმა კახა კუკავამაც (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“) უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების გაცემასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თვითმმართველობის არჩევნები კანდიდატების დიდი რაოდენობით წარდგენას გულისხმობს და რიგი პარტიებისთვის ეს არის სერიოზული დანახარჯი. ამასთან, თუ სწორად ახსოვს, 2024 წლის არჩევნებზე ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ გაიცემოდა უფასოდ.

ბატონმა სერგო ხურციძემ (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „კონსერვატორები საქართველოსთვის“) კომისიას მიმართა კითხვით საარჩევნო სუბიექტებისთვის საბანკო ანგარიშის ქონის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომელზეც შეიძლება ჩაირიცხოს შემოწირულობები და გაიცეს საერთო დანახარჯები. როგორც მან აღნიშნა, პარტიამ მიმართა საქართველოს 6 მსხვილ ბანკს, თუმცა, უშედეგოდ, და კომისიას სთხოვა, მიეღო შესაბამისი ზომები არსებული პრობლემის გადასაჭრელად.

კომისიას მიმართა დანიელ დავითაშვილმაც (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე), რომელმაც ხაზი გაუსვა არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლის სტატუსით ჩართულობის მნიშვნელობას. მისი თქმით, წინა წლებთან შედარებით, ამ ეტაპზე მცირე რაოდენობით არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაიარეს რეგისტრაცია, ხოლო 2024 წლის არჩევნებზეც დარეგისტრირებული ორგანიზაციები საარჩევნო პროცესში არ ერთვებოდნენ. მან აღნიშნა, რომ 2024 წლის არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დიდი შრომა გასწიეს; ასევე, ხაზი გაუსვა იმ საჩივრებს, რომელთა შინაარსი სრულიად არ შეესაბამებოდა სიმართლეს; მისივე განმარტებით, 2009 წლიდან დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს და კომისია ყოველწლიურად ამაღლებს თავისი საქმიანობის დონეს.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ყველას მოსაზრებების გამოთქმისთვის. როგორც მან აღნიშნა, გახმიანებული მოსაზრებების და კითხვების უმრავლესობა სცდება კომისიის უფლებამოსილებას. მან კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება კომისიის მანდატზე, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიზანია საჯარო

მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე პრევენციისა და გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება. აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია კანონმდებლობით.

ბატონმა პაატა სალიამ ყველა კითხვა შეაჯამა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების გაცემასთან დაკავშირებით დააზუსტა, რომ, გადამოწმებული ინფორმაციით, 2024 წელსაც არ ყოფილა მათი გაცემა უფასო, როგორც ეს კახა კუკავამ აღნიშნა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“). ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე გადაწყვეტილების მიღება კომისიის უფლებამოსილებას სცდება, საკითხი მაინც მონიშნულია და კომისია მიმართავს შესაბამის ორგანოებს, იმსჯელონ ამ საკითხთან დაკავშირებით. პარტიების რეგისტრაციას რაც შეეხება, ეს წარმოადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეროგატივას, სასამართლოზე ზედამხედველობა და მისთვის რაიმეს დავალება კი სცდება არა მხოლოდ კომისიის, არამედ იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებასაც.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ვინაიდან დამსწრე პირთა ზეპირი განცხადებები სხდომაზე ვერ დასტურდებოდა, საჯარო რეესტრთან მიმართებით მოწოდებული ინფორმაცია რეგისტრაციის მსურველი პარტიების მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის სისწორესთან დაკავშირებით გადამოწმდება.

საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებით ბანკებთან ურთიერთობაც არ წარმოადგენს კომისიის მანდატის ფარგლებში განსახორციელებელ უფლებამოსილებას.

როგორც მან განმარტა, შემდეგ სხდომამდე მოწვეულ პარტიებსა და ორგანიზაციებს მიეწოდებათ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №1094 ბრძანება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

ბატონმა გიორგი სანტურიანმა (ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) აღნიშნა, რომ ბატონ გიორგი ლილუაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველო“) გახმიანებული საკითხები, მართალია, სცდებოდა კომისიის უფლებამოსილებას, თუმცა, დამსწრე წევრების ინფორმირების მიზნით განმარტა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარებას მისი მიღებიდან მეორე დღის არაუგვიანეს 12 საათისა. რაც შეხება საარჩევნო დავებს, სპეციფიკურია და არ განიხილება სამივე ინსტანციით. მას შემდეგ, რაც სააპელაციო

სასამართლოში დასრულდება დავა, ის არის საბოლოო გადაწყვეტილება და მისი ჩაბარების ვადას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მესამე პირების განჩინებებთან დაკავშირებით, პირთა სიმრავლიდან გამომდინარე, ხელმისაწვდომობის გასამარტივებლად 2018 წლიდან სპეციალურ ბანერზე მათი ატვირთვის ვალდებულება დაწესდა, რამაც საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურება დაიმსახურა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან.

რაც შეეხება პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაციის საკითხს, 17 პოლიტიკური გაერთიანებიდან 3 პოლიტიკური გაერთიანებისთვის („მესამე გზა“, „დემოკრატთა ალიანსი“, „ერთობისა და განვითარების პარტია“) რეგისტრაციაზე უარის თქმა, ძირითადად, განპირობებული იყო გვიან ან არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ან ხელმძღვანელთან დაკავშირებით იყო პრობლემა. ეს პრობლემები ფიქსირდებოდა სარეგისტრაციო პერიოდში, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისია განიხილავდა განაცხადებს. რაც შეეხება პარტია „გირჩის“ თუ სხვა პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაციის საკითხს, წარმოდგენილი იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტაცია და კანონმდებლობის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ბატონი გიორგი ლილუაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველო“) მიერ შეტანილ ოთხივე სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილი იყო კანონმდებლობით დადგენილი ყველა დოკუმენტაცია. ამჟამად ოთხივე დავა დასრულებულია და სასამართლომ გაიზიარა ცენტრალური საარჩევნო კომისიის, როგორც უფლებამოსილი პირის, გამოცემული სამართლებრივი აქტები. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა არ დარღვეულა.

ასევე, დამატებით აღნიშნა, რომ ბატონ გიორგი ლილუაშვილს (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველო“) იმავე საკითხზე (პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციის თემაზე) 2024 წლის არჩევნებზეც 10-ზე მეტ პოლიტიკურ პარტიასთან ჰქონდა დავა, თუმცა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები პარტიათა რეგისტრაციის შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლომ გაიზიარა და პარტიებმა მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, დასახელებულ საკითხზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის მიერ პასუხის გაცემა არ შედიოდა კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა იმ მიზნით, რომ საკითხები ღიად არ დარჩენილიყო, მადლობა გადაუხადა ბატონ გიორგი სანტურიანს კეთილი ნების გამოხატვისა და მოწოდებული განმარტებებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებთან დააზუსტა სუბიექტების რეგისტრაციის საბოლოო ვადა. ბატონმა გიორგი სანტურიანმა (ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/იურიდიული დეპარტამენტის უფროსი) კომისიას მოახსენა, რომ საბოლოო ვადა არის კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 22 დღისა, რაც არჩევნების თარიღის მიხედვით, არის 12 სექტემბერი, ხოლო ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) დაამატა, რომ 12 სექტემბერი არის გასაჩივრების ჩათვლით ბოლო ვადა, ხოლო 4 სექტემბერი – სუბიექტების რეგისტრაციის ბოლო ვადა და ამ დროისთვის უკვე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ექნება ინფორმაცია, თუ რამდენმა პარტიამ წარადგინა სუბიექტები.

ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნა, რომ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის დასრულების შემდეგ კომისიას აქვს ახალი ვალდებულება, რაც გულისხმობს მის კვირაში ერთხელ შეკრებას. შესაბამისად, კომისია ჯერჯერობით შეიკრიბება ორი კვირის თავზე, 2 სექტემბერს, ხოლო შეხვედრის დეტალები დამატებით ეცნობება დამსწრე წევრებს.

სხდომის დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს კომისიის მუშაობაში ჩართულობისთვის და ყველას უსურვა წარმატებები.

სხდომა დასრულდა 13:05 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: პაატა სალია

კომისიის მდივანი: ლანა მორგოშია